



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მალრაძე ოთარ კონსტანტინეს ძე



ო. მალრაძე

მალრაძე ოთარ კონსტანტინეს ძე (დ. 4. III. 1954, თბილისი), პიანისტი, ჯაზის მუსიკოსი. დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1977). უკრავდა ანსამბლ. „ბერმუხაში“ (1972), „ოროველასა“ (1978–79) და ჯაზ-კვინტეტში (1980–89); იყო სახელმწ. ფილარმონიისა და საქართვ. ტელე-რადიოკომიტეტის თანამშრომელი; 2000-იდან თბილისის მერიის ბიგ-ბენდის, 2002-იდან – თბილ. დიქსილენდის, 2003-იდან – ჯაზ-კვინტეტ „ნოსტალგიის“, 1999-იდან – ტრიო „თბილისის“ წევრი; ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ ჯაზ-კვარტეტ „თბილისს“.

მ-მ მონაწილეობა მიიღო ღონეცკის (1982, 1983), თბილისის (1978, 1986, 1999, 2000, 2002), სანქტ-პეტერბურგის (1985), მოსკოვის (1986), ტალინის (1987), ზაარბრიუკენის (1988, 1989), სოხუმის (1989), ჰანოვერის (2000), ვილნიუსის (2007), მონტე კარლოს (2008), გდანსკის (2018) და სხვა მუს. ფესტივალებში.

2019 მ-ის ავტორობით გამოიცა ნოტების ალბომი „რვა ჯაზური კომპოზიცია“. მიუნსტერში (2020, გერმანია) გამართა სოლო კონცერტი. თანამშრომლობდა ცნობილ მუსიკოსებთან (ჩ. ჰანი, რ. ჰანა, ჟ.-ლ. პონტი, უ. ლეკონტი, ბ. გოლდონი). ეწევა პედ. მოღვაწეობას.

თ. დოლიძე
